<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სსმ, 57, 29/12/2005) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ორგანიზებული დანაშაულის, „ქურდული სამყაროს“ და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლას და თავიდან აცილებას, აგრეთვე „ქურდული სამყაროს“ წევრების/„კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლას კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად.“.

2. მე-3-მე-6 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. „ქურდული სამყარო“,„ქურდული სამყაროს“ საქმიანობა, „ქურდული სამყაროს“ წევრი, „კანონიერი ქურდი“

1. „ქურდული სამყარო“ – პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც შეთანხმებულია „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებაზე.
2. „ქურდული სამყაროს“ საქმიანობა - „ქურდული სამყაროს“ წევრის ან „კანონიერი ქურდის“ მიერ განხორციელებული საქმიანობა, ჩადენილი დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობით, „ქურდული შეკრებით/გარჩევით“ , დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით, დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზებით, საკუთარი კრიმინალური გავლენის გამოყენებით ან სხვა უკანონო ქმედებით, რომლის მიზანია თავისთვის ან სხვა პირისთვის სარგებლის/უპირატესობის მიღება, ძალაუფლების ან/და გავლენის მოპოვება/მინიჭება.
3. „ქურდული სამყაროს“ წევრი - პირი, რომელიც აღიარებს „ქურდულ სამყაროს“ და აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში, აგრეთვე, პირი, რომელიც აღიარებს „ქურდულ სამყაროს“, კავშირი აქვს მასთან და სახეზეა აშკარად გამოხატული ნიშნების ერთობლიობა, რომ პირი თავისი ქმედებით გამოხატავს მზადყოფნას, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ.
4. „კანონიერი ქურდი“ – პირი, რომელიც ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს „ქურდულ სამყაროს“ ან „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მეთოდების გამოყენებით პირთა გარკვეულ ჯგუფს.“.
5. „ქურდული გარჩევა“ – „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“ მიერ პირის ქმედების შეფასება ან/და დავის განხილვა/გადაწყვეტა ნებისმიერი ფორმით

(მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით), „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელების მიზნით.
6. „ქურდული შეკრება“ - ორი ან მეტი პირის შეკრება ან ნებისმიერი ფორმით დაკავშირება (მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით) „ქურდულ სამყაროში“ პირთა გაწევრიანების ან წევრობის შეწყვეტის ან სტატუსის შეცვლის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის (მათ შორის, ფინანსური/მატერიალური რესურსების განკარგვა) განხილვა/გადაწყვეტის მიზნით.

მუხლი 4. ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი, დაკავშირებული პირი

1. რეკეტირის ან „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“ ოჯახის წევრი არის მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე რეკეტირთან ან „ქურდული სამყაროს“ წევრთან/„კანონიერ ქურდთან“ მუდმივად მცხოვრები პირი.
2. რეკეტირის ან „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“ ახლო ნათესავი არის პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, და და ძმა, აგრეთვე მშობლისა და შვილის გერები, მეუღლის და, ძმა და მშობელი.
3. რეკეტირთან ან „ქურდული სამყაროს“ წევრთან/„კანონიერ ქურდთან“ დაკავშირებული პირი არის პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ იგი მიღებულია რეკეტის ან „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად და ამ ქონებით სარგებლობს რეკეტირი ან „ქურდული სამყაროს“ წევრი/„კანონიერი ქურდი“.

მუხლი 5. რეკეტული ქონება, „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“ ქონება

1. რეკეტული ქონება არის რეკეტიდან მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება, აგრეთვე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.
2. „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“ ქონება – „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.
3. რეკეტული და „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“ ქონება ექვემდებარება ჩამორთმევას და მესამე პირის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს.

4. რეკეტული და „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“ ქონების ჩამორთმევის და სახელმწიფოსათვის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

მუხლი 6. რეკეტირის, „ქურდული სამყაროს“ წევრისა და „კანონიერი ქურდის“ პასუხისმგებლობა

რეკეტირის, „ქურდული სამყაროს“ წევრისა და „კანონიერი ქურდის“ პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**